# საქართველო

№9 (36) ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი 28 თებერვალი 1943 წ.

# „ალსდექ ხალხო და უკუაგდე ქარიშხალი“

18 თებერვალს, სპორტპალასტის დარბაზში, იმპერიის მინისტრი დოქტორ გებელსი გამოვიდა ვრცელი სიტყვით, რომელშიაც დაახასიათა მდგომარეობა ფრონტებზე, აღნიშნა, რომ ბრძოლამ ბოლშევიზმისა და საერთაშორისო ებრაელობის წინააღმდეგ მიიღო ტოტალური ომის სახე. დოქტორ გებელსმა მოწოდებით მიმართა მთელს გერმანელ ხალხს, მთლიანად ჩაება გადამწყვეტ ბრძოლაში ბოლშევიზმის წინააღმდეგ. დოქტორ გებელსის სიტყვებმა უდიდესი გამოხმაურება ჰპოვეს დარბაზში. მთელი დარბაზი ისე, როგორც ერთი კაცი, გამოხატავდა თავის ერთგულების გრძნობას, დიდი ბელადის **ადოლფ ჰიტლერისადმი.**

„სტალინგრადი, — განაცხადა დოქტორ გებელსმა, — შეიქმნა საგანგაშო მოწოდებად გერმანიის ხალხის ბედისადმი. ხალხმა რომელმაც შესძლო მიელო ასეთი დარტყმა — უძლეველია. გერმანელი ხალხი აღზრდილი ნაციონალ-სოციალიზმის სულით მიეჩვია პირდაპირ უცქიროს თვალებში სიმართლეს.

ამჟამად საჭირო არ არის ვეძიოდ მიზეზები მომხდარი უბედურებისა, არამედ აუცილებელია ვიმოქმედოთ. ჩემი ამოცანაა, — განაგრძობს იგი, — აღვწერო შექმნილი მდგომარეობა ყოველგვარი სალებავების გარეშე და გამოვიტანოთ მისგან დასკვნა, რომლის მიხედვითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ მომავალში. ეს ფაქტია და არ საჭიროებს მსჯელობას.

ადოლფ ჰიტლერმა თავის პროკლამაციაში მოგვცა სურათი იმისა თუ რა მოუვიდოდა გერმანიას და ევროპას იმ შემთხვევაში, რომ 1933 წლის 30 იანვარს ნაციონალ - სოციალიზმს ხელში არ აეღო ძალაუფლება. ნაციონალ-სოციალიზმმა დარაზმა თავისი ძალები ბოლშევიზმის წინააღმდეგ, იგი ყოველთვის აფრთხილებდა გერმანიას და მთელ მსოფლიოს ებრაელობის ტერორის საშიშროებაზე, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა აღმოსავლეთში. როცა ადოლფ ჰიტლერმა 1941 წლის 22 ივნისს გასცა ბრძანება აღმოსავლეთისაკენ გასალაშქრებლად, მას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული მომავალი ბრძოლის მთელი სიმძიმე, რადგან დაყოვნება დაღუპავდა ევროპას და მოხდებოდა მისი ბოლშევიზაცია.

ბუნებრივია ის, რომ ბოლშევიკების მაცდურად შენიღბვის გამო ჩვენ სათანადოთ ვერ შევაფასეთ საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალა, რომელიც ახლა წარმოგვიდგა მთელი მისი სიძლიერით. **ბრძოლა, რომელსაც აწარმოებენ ჩვენი ჯარისკაცები აღმოსავლეთში, თავისი მოცულობითა და დაძაბულობით აჭარბებს ყოველგვარ ფანტაზიას. იგი მოითხოვს ჩვენგან მთელი ჩვენი ნაციონალური ძალების დაჭიმვას. მთელი თავისი ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე ევროპა არაოდეს არ მდგარა ასეთი საშინელი საფრთხისა და განსაცდელის წინაშე როგორც დღეს“.**

მოუწოდა რა მსოფლიო საზოგადოებას დოქტორ გებელსმა წამოაყენა სამი ძირითადი თეზისი ბოლშევიკური საფრთხის წინააღმდეგ. **პირველი: გერმანიის არმია რომ არ ყოფილიყო უნარიანი მოეგერიებინა ბოლშევიკური დარტყმა, მაშინ მოკლე დროის განმავლობაში მთელი ევროპა ბოლშევიზირებული იქნებოდა. მეორე: გერმანელმა ხალხმა და ჯარმა, მისმა მოკავშირეებმა უნდა შესძლონ ევროპის დახსნა ამ მუქარისაგან. მესამე: ეს საშიშროება ბობოქრობს, საჭიროა იგი მოვიგერიოთ სწრაფად და გადამწყვეტად, თორემ შემდეგ გვიან იქნება.**

პირველ თეზისს დოქტორ გებელსი უმატებს, რომ ბოლშევიზმის გამოსავალი წერტილი იყო მსოფლიო რევოლუციის მოხდენა. ბუნებრივია რომ სტალინი მალავს ამ მიზანს, მაგრამ ჩვენ არ გვინდა დავემსგავსოთ გიპნოტიზირებულ ბაჭიებს, რომლებიც პასიურად ელოდებიან როდის გადაყლაპავს მათ გველი. ჩვენ ამ ბოროტებას ძირშივე აღმოვფხვრით. **ბოლშევიზმის მიზანია მსოფლიო რევოლუცია ებრაელებისა. მათ სურთ გერმანიასა და ევროპაში დამყარდეს ქაოსი.**

სარგებლობენ რა ებრაელები ამ ქაოსით და აფარებენ რა თავს ბოლშევიკურ იდეოლოგიას მიისწრაფიან დაამყარონ თავიანთი მსოფლიო კაპიტალისტური ტირანია, მათ უნდათ გაანადგურონ ჩვენი წამყვანი და ინტელიგენტური ფენა, რომ ამით ჩვენი მშრომელები გადააქციონ მონებად. გამარჯვების შემთხვევაში ბოლშევიკები არ შეჩერდებოდნენ გერმანიის საზღვრებთან, არამედ შეიჭრებოდნენ მის შიგნით. ის გარანტია, რომელსაც მოგვცემდა მოსკოვი, ლონდონი ან ვაშინგტონი მას არავითარი ფასი არ ექნებოდა, მით უფრო ბოლშევიზმისა, რომელიც არ სცნობს არავითარ საერთაშორისო უფლებებს. **ჩვენ ვიცით, რომ მოიერიშე წითელ დივიზიებს უკან მოჰყვებიან ებრაული დამსჯელი რაზმები და მასთან ერთად ტერორი, მასობრივი სიმშილი და ანარქია. საერთაშორისო ებრაელობა წარმოადგენს მთელი განძეულობის გახრწნისა და სადისტური განადგურების ფერმენტს, მაგრამ ჩვენ არასოდეს გვეშინოდა და არც ახლა გვეშინიან.“**

მეორე თეზისის შესახებ დოქტორ გებელსმა უარყო ინგლისური ილუზია. იმის შესახებ, რომ თითქოს ინგლისს ან ევროპის რომელიმე ქვეყნებს შეეძლოს დაიცვას თავი ბოლშევიზმისაგან, გერმანიის დახმარების გარეშე. არც ერთი კაცი გერმანიაში არ ოცნებობს კომპრომისზე, არამედ ის მზად არის იბრძოლოს. მთელი ხალხი გაჟღენთილია სურვილით, იბრძოლოს საბოლოო გამარჯვებამდე.

„დასასრულ ჩემი უკანასკნელი თეზისი — განაცხადა დოქტორ გებელსმა, — საფრთხე უშუალოდ ბობოქრობს. **ჩვენი ბრძოლა საერთაშორისო ებრაელობის წინააღმდეგ უნდა იყოს ისეთივე დაუნდობელი, როგორც ჩვენი შეიარაღებული ბრძოლა მათი ბრმა იარაღის ბოლშევიკების არმიის წინააღმდეგ. ებრაელობამ რუსეთში 200 მილიონიანი მოსახლეობა მოაქცია „გ პ უ“ - ს ტერორის ქვეშ და გადაქცია ისინი მონებად. ამგვარად ტოტალური ომი ეს არის დღის პაროლი. ყველა ძალები უნდა იქნას მობილიზებული, მოზღვავებული საფრთხის წინააღმდეგ. არავის არა აქვს უფლება თავი მოარიდოს თავისი მოვალეობის შესრულებას. საზოგადოებრივმა მდგომარეობამ და წოდებამ არავითარი როლი არ უნდა ითამაშოს ახლა. ჩვენს მიერ დასახული ღონისძიება გატარებული იქნება ნაციონალ - სოციალისტური სიმართლის სულით. ღარიბები და მდიდრები, სწავლულნი და მცირე მცოდნენი ყველანი ერთად უნდა მოექცნენ რიგებში როცა სწყდება ჩვენი ერის ბედი. უნდა შეიქმნას ოპერატიული რეზერვები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენს ზაფხულის შეტევას.**

გერმანიის არმია, რომელიც არ ზოგავს თავის ძალას, აკისრებს ზურგს პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა. მთელი ჩვენი ცხოვრება უნდა იქნას ორგანიზებული ომის მკაცრ მოთხოვნილებებთან შესაბამისად. ჩვენი ამოცანაა რაც შეიძლება მეტი ჯარისკაცი მივსცეთ ფრონტს და რაც შეიძლება მეტი მუშა — სამხედრო-სამრეწველო საწარმოებს. ზოგიერთ წარმოებებში ქალებს სავსებით შეუძლიათ შესცვალონ მამაკაცები.

**მომავალ ზაფხულს მოწინააღმდეგე კვლავ გამოსცდის თავის თავზე ჩვენი იერიშების მთელს სიძლიერეს.** ინგლისელები ამტკიცებენ, რომ გერმანიის ხალხმა დაჰკარგა გამარჯვების რწმენა, რომ ის დაიღალა ომისაგან. მე გეკითხებით თქვენ მზად ხართ თუ არა დაეხმაროთ გერმანიის ხალხის ბელადს თქვენი ძალების დაუზოგავათ სრული გამარჯვებამდე? ინგლისელები ამტკიცებენ, რომ გერმანიის ხალხი არ უჭერს მხარს მთავრობის ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ტოტალური ომის ორგანიზაციას, რომ ის ელის კაპიტულაციას, მე გეკითხებით თქვენ მზადა ხართ თუ არა საჭიროების შემთხვევაში იმუშაოთ დღე და ღამის განმავლობაში 16 საათი, მზადა ხართ თუ არა აწარმოოთ რადიკალური ტოტალური ომი?

ინგლისელები ამტკიცებენ, რომ გერმანელმა ხალხმა დაჰკარგა ნდობა ბელადისადმი, მე გეკითხებით თქვენ გახდა თუ არა თქვენი ნდობა ბელადისადმი უფრო შეურყეველი, გამსჭვალული ხართ თუ არა გამარჯვების აბსოლუტური რწმენით? (ყველანი დგებიან და სტიქიურად გამოხატავენ თავიანთ ერთგულებასა და მზადყოფნას ბელადისადმი.)

თქვენს გამოძახილში მე მესმოდა მთელი გერმანიის ხალხის ხმა. ბელადმა ბრძანა ჩვენ, მივყვებით მას. **დღეიდან ჩვენი პაროლი არის: ალსდექ ხალხო და უკუაგდე ქარიშხალი.“**

## ჩვენ გერმანიის არმიის მოკავშირე ვართ

გერმანიის სარდლობის ცნობით კავკასიის და აღმოსავლეთის ერების ნაციონალურმა ლეგიონებმა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მთლიანად გაამართლეს ნდობა და გმირობის მრავალი შესანიშნავი მაგალითი მოგვცეს.

ნაციონალური ლეგიონების მეთაურები, რომელთაც თავი გამოიჩინეს ვაჟკაცობითა და რაინდობით დაჯილდოებულნი არიან რკინის ჯვრით. თურქესტანელთა ერთი ბატალიონი იბრძოდა გერმანიის მე-6 არმიასთან ერთად სტალინგრადში, თურქესტანელი ასეულის მეთაურის ხელმძღვანელობით. ისინი გმირულად იბრძოდნენ გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად უკანასკნელ ტყვიამდე.

გერმანიის სარდლობის მიერ არა ერთხელ იყო აღნიშნული ქართული, სომხური, აზერბეიჯანული, თათრული ლეგიონების გმირობა და სიმამაცე. ქართულმა ბატალიონებმა ბრძოლის ველზე დაამტკიცეს ერთგულება მიღებული ფიცისა, ისინი ლომებივით ებრძოდნენ მტერს.

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ბრძანებით ნაციონალური ლეგიონები: ქართული, სომხური, აზერბეიჯანული, თათრული, ჩრდილო-კავკასიელთა და თურქესტანელთა აღიარებულნი არიან გერმანიის არმიის მოკავშირეებად. თვითეული ამ ლეგიონერთაგანი სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომლითაც სარგებლობენ გერმანელი ჯარისკაცები. დაჭრილსა და გმირულად დაღუპულ ლეგიონერზე ისეთივე ზრუნვაა როგორც გერმანელ ჯარისკაცზე.

ქართველი ლეგიონერები, გრძნობენ რა იმ მზრუნველობას, რომელსაც გერმანიის უმაღლესი სარდლობა იჩენს მათადმი, კიდევ უფრო მაღლა ასწევენ თავიანთ ბრძოლის უნარს, თავდადებით იბრძოლებენ და გასწირავენ სიცოცხლეს ბოლშევიზმის მონობისაგან მშრომელი ერის განთავისუფლების საქმისათვის, დადებული ფიცის განაღდებისათვის.



აღმოსავლეთის ფრონტზე. ახალი პოზიციისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მდგომარეობა ფრონტებზე

უდიდესი დანაკარგისა და ზარალის შედეგად ბოლშევიკების შემოტევანი აღმოსავლეთის ფრონტის სხვა და სხვა უბნებზე შესუსტდნენ. საბჭოთა ჯარები დაუყონებლივ საჭიროებენ შევსებას, დამხმარე ნაწილების გაგზავნა კი ერთობ ძნელია. გერმანიის არმიამ გაამაგრა რა თავდაცვის ხაზი წარმატებით აწარმოებს კონტრ-შეტევას.

დასავლეთ კავკასიაში ყუბანის მისასვლელებში სწარმოებდა თავდაცვითი ბრძოლა. გერმანიის საჰაერო შენაერთებმა ყუმბარები ჩამოყარეს და დააზიანეს რკინისგზები კავკასიის მაღლობ ადგილებში. ნოვოროსსისკის რაიონში წარმატებით გრძელდება კონტრ-შეტევები საბჭოთა დესანტის სრული ლიკვიდაციისათვის.

აზოვის ზღვასა და ორიოლის რაიონს შორის მიმდინარე ბრძოლამ მიიღო შენელებული სახე, ბოლშევიკებმა ამ უბანზე დიდი ზარალი განიცადეს. რჟევის რაიონში, ილმენის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ლადოგის სამხრეთით საბჭოთა ჯარები განაგრძობენ შემოტევას. ბოლშევიკების დანაკარგი განსაკუთრებით დიდია ლადოგის ტბასთან და ლენინგრადთან.

11—20 თებერვლამდე აღმოსავლეთის ფრონტზე განადგურებულია საბჭოთა 774 ტანკი, რომელთა უმრავლესობა ახლახან ჩადგა საბრძოლო მწყობრში.

ტუნისში გერმანიის არმიის საიერიშო მანევრს ტუნის-ალჟირის საზღვრებთან ჰქონდა წარმატება შემდგომი განვითარებისათვის. გამოიყენა რა გამოცდილება აფრიკაში ბრძოლისა და ის გარემოება, რომ ამერიკელებს არ შესწევდათ ძალა შეევსოთ თავიანთი ძალები ახალი ნაწილებით, გერმანიის არმიამ უკუაგდო მტერი საკმაოდ დიდ მანძილზედ. ბრძოლაში ტყვედ წამოყვანილია 3000 ჯარისკაცი და განადგურებულია მტრის 169 ტანკი. ამერიკელთა ჯარის მრავალი ჯგუფი ალყა შემორტყმულია და ელის განადგურებას.

აფრიკაში ისე როგორც აღმოსავლეთის ფრონტის ცალკეულ უბნებზე აშკარად სჩანს მოკლე საოპერაციო ხაზების უპირატესობა, რომელსაც მიმართავს გერმანიის არმიის სარდლობა.



იწვიან მტრის ტანკები.

## თურქეთი აღმოსავლეთის ფრონტის შესახებ

მდგომარეობამ აღმოსავლეთის ფრონტზე თურქეთის პრესაში ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა. თურქეთის საზოგადოებრივი აზრი არჩევს საკითხს იმის შესახებ თუ რა სურდათ ღერძის სახელმწიფოების მტრებს და რას მიაღწიეს. დეპუტატი იუნსნადი გაზეთ „კუმხირიეტის" მეთაურ წერილში აქვეყნებს საკითხს შეიძლება თუ არა ბრძოლა აფრიკაში შეედაროს იმ ბრძოლას, რომელიც ახლა სწარმოებს აღმოსავლეთის ფრონტზე. საბჭოთა ზამთრის იერიშებს, მიუხედავად ცალკეული ტერიტორიალური წარმატებებისა ვერ შესძლეს გერმანიის არმიის წინააღმდეგობის ძალის შერყევა. მხედველობაში მივიღებთ რა ძალთა საყოველთაო მობილიზაციას გერმანიაში, უნდა მოველოდეთ გაზაფხულზე ან ზაფხულში მდგომარეობის რადიკალურად შეცვლას გერმანიის სასარგებლოდ.

ჩრდილო-აფრიკის ფრონტი მიუხედავად იმისა, რომ აქ ბრძოლა არ ატარებს იმდენად გიგანტურ ხასიათს, დაკავშირებულია ევროპის ინტერესებთან. საომარი ოპერაციების განვითარება აფრიკაში სრულიად არ აკმაყოფილებთ ღერძის სახელმწიფოების მოწინააღმდეგეებს. ინგლის-ამერიკელებს მიაჩნდათ აფრიკა ბაზად ევროპის კონტინენტზე ოპერაციათა გადატანისათვის. მაგრამ გერმანელთა მიერ ტუნისის აღებამ და გერმანია-იტალიის არმიის წარმატებებმა ომის ამ თეატრზე გაანადგურეს ინგლის-ამერიკელთა გეგმები. აფრიკაში ძლიერი თავდაცვის საშუალებით გერმანიას შეუძლია თავი მოუყაროს ყველა თავის ძალებს აღმოსავლეთში გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

## ეგვიპტე და ამერიკა

ეგვიპტის მთავრობამ უარი უთხრა ამერიკის შეერთებულ შტატებს ეგვიპტური ბამბის მიყიდვაზე. ეგვიპტის მთავრობამ ამერიკის ამ წინადადებაში დაინახა „დოლლარული იმპერიალიზმის" გამოვლინება, რომელიც მიისწრაფის იქეთკენ რათა მიაღწიოს ეგვიპტურ ბამბაზე მონოპოლიას ომის დამთავრების შემდეგაც.

მეორე მხრივ, ყოველგვარი ცდა ეგვიპტის მთავრობისა, მიეღო ამერიკისაგან საჭირო ნედლეული დამთავრდა უშედეგოდ. ეგვიპტეს განსაკუთრებით არ ჰყოფნის ნახშირი, რისთვისაც მთელი რიგი საწარმოებისა იხურება. ეგვიპტის მთავრობას განზრახული აქვს მოახდინოს ნედლეულის განაწილების რაციონირება.



...და კიდევ ერთი მინა

## ჩაძირულია 15 გემი

მიუხედავათ ძლიერი ქარიშხალისა გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ატლანტიის ოკეანეში და აფრიკის ჩრდილო სანაპიროებთან ჩასძირეს მტრის 15 გემი, რომელთა საერთო წყალწყვა უდრის 103 ათასს ბრუტტო-ტონას. ეს გემები შედიოდნენ ძლიერად დაცული ქარავნის შემადგენლობაში. ჩაძირულია აგრეთვე სამი დამცველი გემი.

## ჩუნკინგის მძიმე დანაკარგი

დომეის სააგენტოს ცნობით რკალი ჩუნკინგის 89 დივიზიის ირგვლივ სულ უფრო და უფრო მჭიდროვდება. ამ რკალში მოქცეულია 20 ათასი ჩინელი ჯარისკაცი. იაპონიის სარდლობის მიერ უკანასკნელად გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით იანვრის განმავლობაში ჩან-კაი-შეკმა დაჰკარგა 6904 მოკლული და ტყვე.

## ჩაიძირა „ჯონ ერიკსონი"

რეიტერის სააგენტოს ცნობით ამერიკის სატრანსპორტო გემი „ჯონ ერიკსონი" 20 ათასი ტონა წყალწყვისა მტრის წყალქვეშა ნავების მიერ ჩაძირულია მაროკოკანის სანაპიროებთან.

## ფინეთის ელჩის მიღება

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფონ რიბენტროპმა მიიღო ფინეთის ელჩი პროფესორი კიბიმიაკი და ადოლფ ჰიტლერის სახელით გადასცა დიდი ჯვარი გერმანიის არწივის ორდენისა.

## „განსაკუთრებული ტიპის" მხედართმთავარი

„ხალხთა მამის" სამხედრო ტალანტი დიდი ხნის განმავლობაში უცნობი იყო, მხოლოდ 1934 წელს კლიმ ვოროშილოვის სიტყვის შემდეგ მთელმა ქვეყანამ გაიგო ის, რომ სამოქალაქო ომში ბოლშევიკების გამარჯვება მთლიანად მიეწერება სტალინს, რომ მისი სახით წითელ არმიას ჰყავს გამოჩენილი სამხედრო თეორეტიკოსი და უძლეველი მხედართმთავარი.

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ერთ-ერთ პლენუმზე ვოროშილოვმა გამოაქვეყნა „ისტორიული დოკუმენტები" და რიხიანად გამოაცხადა, რომ ჩვენში საუბედუროდ ჯერ კიდევ არ იციან სტალინის უდიდესი როლის შესახებ სამოქალაქო ომში. 60 წლის თავთან დაკავშირებით ვოროშილოვი სწერდა: „ზოგიერთი ისტორიკოსები ცდილობენ სტალინი შეადარონ წარსულ საუკუნეთა სახელგანთქმულ მხედართმთავრებს, მაგრამ ეს არ არის მართალი, იმიტომ რომ სტალინი არის განსაკუთრებული ტიპის მხედართმთავარი, რომლის შედარება არც ერთ წარსულ საუკუნეთა მხედართმთავრებთან არ შეიძლება,"

ამ ანალიზის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ვოროშილოვი მართალია. აბა როგორ შეიძლება სტალინის შედარება სუვოროვთან ანდა ნაპოლეონთან? ისინი ხომ პირადად მიუძღოდნენ ჯარებს ბრძოლის ველზე, პირადად ადგენდნენ საომარ-ოპერატიულ გეგმებს, სტალინი კი არას დროს არ ყოფილა უშუალოდ ბრძოლის ველზე. იქ სადაც საჭირო იყო მუხრუჭის მოჭერა — სტალინი უმალ იქვე გაჩნდებოდა. რაც შეეხება სტალინის ოპერატიულ ხელოვნებაზე ამის შესახებ ფაქტები მეტყველებენ. სტალინის მოღვაწეობა სამხედრო დარგში იწყება ცარიცინის დაცვის მომენტიდან.

1918 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე დონის ატამანი კრასნოვი ორჯერ შეეცადა აეღო ცარიცინი, მაგრამ უშედეგოდ. კრასნოვზე გამარჯვება სტალინს მიაწერეს სრულიად დაუმსახურებლად, ცარიცინის ბრძოლას სტალინი არ ხელმძღვანელობდა. იგი იყო ლენინის მიერ გაგზავნილი ცარიცინში საგანგებო რწმუნებულად სურსათის დამზადების საქმეში.

1918 წლის დეკემბერში აღმოსავლეთის ფრონტზე, პერმის მიმართულებით შეიქმნა მძიმე მდგომარეობა; კოლჩაკის მაგარი დარტყმის შედეგად საბჭოთა მე-3-ე არმია უწესრიგოდ იხევდა უკან, რომელმაც უბრძოლველად დასტოვა პერმი. პერმთან მომხდარ კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევად ლენინმა მიავლინა სტალინი და ძერჟინსკი. ჩამოვიდნენ რა ისინი ვიატკაში, დაიწყეს ასეულებით ხვრეტა მეთაურებისა და მებრძოლებისა. მათ მიაღწიეს იმას, რომ უმაღლეს სარდლობას გამოაგზავნიეს რეზერვები მე-3-ე არმიისათვის; შეადგინეს ვიატკაში მეთხილამურეთა ბატალიონი და მშვიდობიანად დაბრუნდნენ მოსკოვში. აი მათი მოღვაწეობა ვიატკაში. სტალინის სამხედრო გენიოსობად მიაჩნიათ მისი მოხსენებითი ბარათში მოყვანილი მასალები, სადაც აღნიშნულია, რომ არ შეიძლება აწარმოო ბრძოლა უგეგმოდ. უნდა მოაწესრიგო ურთიერთ გაგება არმიათა შორის ფრონტზე. არ შეიძლება იომო რეზერვების გარეშე, არმიას უნდა ჰქონდეს მაგარი და მტკიცე საყრდენი ზურგი, ეს კი ყველასათვის საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ როცა ამას იმეორებს სტალინი მის დამქაშებს ეს მიაჩნიათ სტალინის სამხედრო გენიოსობად.

საბჭოთა ისტორიოგრაფია დიდი მკვეხარობით აღნიშნავს სტალინის როლს სამხრეთის ფრონტის გადამწყვეტ უბანზე. ის ადასტურებს თითქოს სტალინმა გამოიმუშავა ოპერატიული გეგმა სამხრეთ ფრონტზე დენიკინის წინააღმდეგ, თითქოს მას კრიტიკის ქარცეცხლში გაეტარებიოს უმაღლესი სარდლობის სამხედრო-ოპერაციული გეგმა და წამოეყენებიოს მტრისათვის დარტყმის შემდეგი ოპერატიული გეგმა: მოეხდინა წითელი არმიის დარტყმა ორიოლიდან როსტოვამდე ხარკოვ-დონბასის ხაზით; რაც აღნიშნულია სტალინის მიერ გაგზავნილი წერილში ლენინისადმი.

სტალინს მიაწერენ აგრეთვე პირველ ცხენოსან არმიის ორგანიზაციას, თითქოს მხოლოდ სტალინს ესმოდა ცხენოსანი არმიის დაარსების აუცილებლობა. თუ სინამდვილეს ჩაუკვირდებით, რომ ცხენოსანი არმიის მნიშვნელობა უფრო თეთრებს ესმოდათ, ვიდრე წითლებს. მამონტოვისა და შკუროს კორპუსებმა დაგვანახვეს ცხენოსანი ჯარის შექმნის აუცილებლობა.

1920 წლის იანვრის თვეში მოხდა სამხრეთის ფრონტის სამხრეთ-დასავლეთისა და კავკასიის ფრონტად დაყოფა, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სამხედრო წევრად შევიდა სტალინი. დენიკინის არმიის დამარცხების შემდეგ გენერალ სლაშოვმა შესძლო შეენარჩუნებინა ყირიმი. მე-13-ე წითელი არმიის სარდლობისა და სამხრეთ-დასავლეთ-

# „მუშურ-გლეხური“ წითელი არმია

წითელი არმია იშვა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, როცა რუსეთის ხალხი ებრძოდა კაპიტალისტებსა და ინგლის-საფრანგეთის ინტერვენციას. მის შექმნას წინ უძღოდა საკაცობრიო იდეალი, რომლისათვისაც იგი მზად იყო შეეწირა თავისი სიცოცხლეც კი. ბოლშევიკებმა დემაგოგური ხელოვნება უმაღლეს მწვერვალზე აიყვანეს და შესძლეს წითელი არმიის აპარატის თავის ხელში მოქცევა. სტალინმა წითელ არმიას ჩამოაცალა ყველა საკაცობრიო ლოზუნგები, რომლის დროშის ქვეშაც იგი მედგრად იბრძოდა. ამის შემდეგ წითელმა არმიამ დაჰკარგა სიყვარული და პატივისცემა ხალხში. იგი უკვე აღარ არის მშობლიური და მუშურ-გლეხური არმია, არამედ გამოყენებულია სისხლის მსმელი სტალინის ზრახვათა განსახორციელებლად.

წითელი არმია, რომლის დროშაზე ოდესღაც ეწერა ბრძოლა პატარა ერთა ეროვნული თავისუფლებისათვის, იგი თვით შეიქმნა იარაღად რომელმაც სისხლში ჩაახრჩო პატარა ერთა ნაციონალური მეობა, მისი თავისუფლება. უკრაინის ველები, ყირიმის ნახევარ კუნძული, ბელორუსეთის ტრამალები, უზბეკეთისა და კავკასიის მიდამოები, ჩვენი სამშობლო საქართველო, წითელმა არმიამ თავისი ტლანქი ჩექმით გასთელა.

წითელი არმია გადაიქცა უსიტყვო ამსრულებლად კრემლის მესვეურთა ნება სურვილებისა, იგი არის მთელი რიგი ექსპერიმენტებისა და ავანტურიზმის იარაღი. სტალინმა შეჰქმნა რა უდიდესი არმია, მან მიჰყო ხელი იმპერიალისტური პოლიტიკის გატარებას. ჩრდილოეთით დასაყრდენი პუნქტისათვის წითელი არმია შეუსიეს პატარა ფინეთს. თავისუფლების მოყვარე ერთი მუჭა ფინეთის ერმა ვაჟკაცურად მოიგერია მრავალ რიცხოვანი ურდოთა თავდასხმა. სტალინი ამით არ კმაყოფილდება და წითელი არმია მტკიცედ მიაბიჯებს ბალტიის სანაპიროებისაკენ, რომელსაც მსხვერპლად შეეწირა ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის ერთა თავისუფლება. ჩააქრო რა ამ ქვეყნებში ეროვნული თავისუფლების სხივი, მან სისხლით მორწყო დასავლეთ უკრაინა და ბელორუსია. იგი მისწვდა ბუკოვინას და ბესარაბიას.

ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს წითელი არმიის „მოღვაწეობას“, მოიგონეთ სვანეთი, ხევსურეთი, გურია-სამეგრელო, კოჯორისა და თბილისის მიდამოები სადაც წითელი არმიის ურდოებმა გადათელეს საქართველოს მიდამოები, სისხლის მორევში ჩაახრჩვეს ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლება. ქართველ ხალხს არ უყვარდა მისი დამპყრობელი არმია, ზიზღით უცქეროდა მას. დღეს აქ, უცხოეთში შექმნილია ნამდვილი ქართული ეროვნული ჯარი, რომელიც გამომხატველია ქართველი ერის სულისკვეთებისა. ჩვენი ნაციონალური ჯარი იშვა დიდი ომის ქარცეცხლში. გერმანიის ძლევამოსილ არმიასთან ერთად, როგორც მისი მოკავშირე იბრძვის საქართველოს განთავისუფლებისათვის.

ლეგ. ი. კ.



ბერმანელი მეკავშირენი აღმოსავლეთის ფრონტზე.



ჩვეულებრივი სურათი ლადოგის ტბასთან. ტყვე წითელარმიელები.

# ეიზენხოვერის ტერორი

ჩრდილო - ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სასამართლომ ალჟირში 6 ფრანგ მოქალაქეს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. სასჯელის მოტივად სამხედრო სასამართლოს მოჰყავს ის გარემოება, რომ აღნიშნული პიროვნებანი „მტრულად იყვნენ განწყობილნი ამერიკულ გარნიზონისადმი.“ განაჩენი მოყვანილია სისრულეში. ეიზენ ხოვერის ტერორი მძვინვარებს ალჟირში, იგი დაუნდობლად უსწორდება სისხლით ალჟირის მოსახლეობას.

# იაპონიის პრესის აზრი

იაპონიის პრესა დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს აღმოსავლეთის ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას და აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და ინგლის-ამერიკის შორის არსებულ დაძაბულ ვითარებას. იაპონური გაზეთები აღნიშნავენ გერმანელთა ჯარების სიმტკიცეს და სტრატეგიულ ხელოვნებას. განსაკუთრებით ხაზს უსვამენ გერმანელთა წინააღმდეგობას სტალინგრადთან, რომელმაც მისცა საშუალება გერმანულ ჯარის სარდლობას თავი მოეყარა ყველა ძალებისათვის.

გაზეთი „იომიური“ განსაკუთრებით აღნიშნავს გერმანელ სარდლობის სწორ ინსტინქტს, რომელიც ამ ომის მიერ დაყენებული იქნა მძიმე ამოცანების წინაშე: გერმანული ჯარების სარდლობამ დროზე აუღო ალღო მოსალოდნელ საფრთხეს სამხრეთ ევროპაში, რომელიც შეიქმნა ამერიკელების გადმოსხმის შემდეგ ჩრდილოეთ აფრიკაში. გერმანიამ მიუხედავად ამისა უყოყმანოდ გაგზავნა თავისი ძალები აფრიკაში, რაზედაც მან ნაწილობრივ მოხსნა ზოგიერთ ნაწილები აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთ უბნიდან.

# შემთხვევა რუზველტის კაზაბლანკაში გადაფრენისას

გაზეთი „პოპოლო დ იტალიას“ მადრიდელი კორესპონდენტი იტყობინება საინტერესო დაწვრილებითი ცნობებს რუზველტის მეთაურობით ამერიკელთა დელეგაციის გადაფრენის შესახებ კაზაბლანკაში. დაწვრილებითი ცნობები ამ გადაფრენის შესახებ გადაცემული იყო ერთ-ერთი პირის მიერ, რომელიც ტანჟერიდან ჩამოვიდა და მონაწილეობდა გადაფრენაში.

პრეზიდენტი მიფრინავდა აუარებელი დამცველი თვითმფრინავების თანხლებით ზოგიერთმა მათგანმა ვერ მიაღწია დანიშნულ ადგილას. ერთი ჰიდროთვითმფრინავი ჩავარდა ზღვაში. ზოგიერთი მათგანი მოჰყვა ესპანეთის საზენიტო ქვემეხების (ჰიბრალტარის რკალში ესპანეთის მაროკოს ზონაში გადაფრენის დროს. მოკლული იქნა კანადის რადიოს წარმომადგენელი, ზოგიერთ თვითმფრინავებმა დაჰკარგეს რა ორიენტირება, დაეშვნენ ესპანეთის ტერიტორიაზე და მოხდა მათი ინტერირება. ამით აიხსნება სწორედ ის, რომ პრეზიდენტმა ერთი დღით დაიგვიანა მისვლა ადგილზე.

# იაპონელები კვანჩოუში

საფრანგეთის მთავრობასთან სრული შეთანხმებით იაპონიის ჯარმა ფლოტის თანხლებით დაიჭირა კვანჩოუ.



მორიგი გრანატი მზადაა მტრისათვის.

ის ფრონტის სამხედრო საბჭოს უნიჭო ხელმძღვანელობის შედეგად ყირიმის ფრონტზე მომხდარ შეცდომის შესახებ ლენინმა აღნიშნა შემდეგი: „ვრანგელი გაიზარდა ჩვენს მიერ დაშვებულ შეცდომებზე.“ ამ დამარცხების მიზეზი კი უსათუოდ გახლდათ თვითონ სტალინი. მისივე უნიჭო ხელმძღვანელობის შედეგი იყო ვრანგელის არმიის გასვლა ყირიმიდან ჩრდილოეთ ტავრიაში და მელიტოპოლთან ჟლობას ცხენოსანი კორპუსის განადგურება თეთრების მიერ და 6 მაისს კიევის გადაცემა თეთრებისათვის.

პოლონეთის კამპანიის დროს, რასაც მოჰყვა პოლონეთის ჯარის დამარცხება კიევთან, სტალინს მიეძღვნა ქება-დიდება მაშინ, როცა სტალინი იმ დროს აღნიშნულ ფრონტზე არ ყოფილა და მოსკოვში იმყოფებოდა.

1920 წლის ოქტომბერში მოხდა ვრანგელის არმიის დამარცხება არა სტალინის მიერ, არამედ ფრუნზეს ხელმძღვანელობით. სტალინი ამ დროს ავად იყო და აბა საიდან შეეძლო ამ ბრძოლის დროს გამოეჩინა თავისი „გენიალობა.“ სასაცილოა და მეტი არაფერი ვიღაც კოროტკოვის „ნაცოდვილარი“, რომელიც ასეთ სათაურში: „ვრანგელის განადგურება“ აღნიშნავს სტალინურ გეგმას ვრანგელის განადგურების საქმეში. მაგრამ საინტერესოა სად არის ან და სად ინახება სტალინური გეგმა ვრანგელის განადგურებისა? სინამდვილეში კი სტალინის დევიზი იყო ყოველთვის ხელოვნური მანევრირება, მასიური იერიშები აუარებელი ზარალისა და მსხვერპლის გაღების გზით.

ამნაირად სტალინს სამოქალაქო ომის ვითარებაში არ გამოუჩენია არავითარი სამხედრო ტალანტი და მით უფრო მშვიდობიან დროს ამ დარგში მას არაფერი გაუკეთებია. სამოქალაქო ომის დროს წითელი არმიის რეორგანიზაცია ჩატარდა უშუალოდ ფრუნზეს ხელმძღვანელობით; ფრუნზეს გარდაცვალების შემდეგ წითელი არმიის იდეური ბელადი ტუხაჩევსკი იყო (ვოროშილოვი კი უფრო ბანკეტებზე და პარადებზე გამოდიოდა). ტუხაჩევსკისა და სხვა სამხედრო ხელმძღვანელების დახვრეტის შემდეგ წითელი არმია დარჩა ხელმძღვანელობის გარეშე და სწორედ ამ დღიდან სტალინმა პირადად დაიწყო წითელი არმიის საქმეზე მუშაობა, რის შემდეგ დაიწყო არმიის დაუსრულებელი რეორგანიზაცია, ჩქარი ტემპით იწყება საჰაერო და სატანკო ნაწილების შექმნა, შემდეგ ისე დაშლიდნენ, ფეხოსან ჯარს ასწავლიდნენ 30 კილომეტრის მანძილზე დღე და ღამის განმავლობაში იერიშებს და სხვ. ამ დაუსრულებელ და უთავბოლო რეორგანიზაციას მოჰყვა გერმანიასთან ომის დაწყება; მთელმა ქვეყანამ დაინახა წითელი არმიის მოუმზადებლობა ომისათვის.

ამის შემდეგ უნდა დავასკვნათ ის, რომ სტალინის მეთოდები ამ ჟამადაც ომის წარმოების დროს არსებითად არ განსხვავდება იმ მეთოდებისაგან, რომელსაც ის მიმართავდა სამოქალაქო ომის პერიოდში.

დასკვნა ნათელია: სტალინის სახით უდავოდ გვყავს „საგანგებო ტიპის“ მხედართმთავარი, რომელსაც არა ყავს ბადალი ისტორიაში, რადგან მას არასოდეს არ წაუყვანია ლეგიონები ბრძოლის ველზე, არასოდეს მას არ გამოუმუშავებია საბრძოლო ოპერატიული გეგმები და არ შეუქმნია სამხედრო მოძღვრება; არამედ იგი არის დიდი მასშტაბის პოლიტიკური მოსაქმე, რომელიც ყოველთვის სარგებლობდა და სარგებლობს სხვისი ცოდნით და ტალანტით, რადგან საკუთარი მას არ გააჩნია.

პოლკოვნიკი გოლუბევი

# ნაციონალური ჩინეთის ამოცანები

„თუმცა შინეთი მონაწილეობას ღებულობდა პირველ მსოფლიო ომში, მაგრამ ეს იყო უმნიშვნელო. ახლა ჩინეთს განზრახული აქვს დაჭიმოს მთელი თავისი ძალები რათა დააჩქაროს ღერძის სახელმწიფოთა გამარჯვება.“ ასეთნაირად დაახასიათა ჩინეთის გენერალურ შტაბის უფროსმა ნაციონალური ჩინეთის ომში ჩაბმის მნიშვნელობა. გერმანიის კორესპონდენტთან საუბარში მან აღნიშნა, რომ ჩინეთის მდგომარეობა, რომელიც ამ ჟამად დაყოფილია თრ მოწინააღმდეგე ბანაკად: ჩუნგკინი რომელიც წარმოადგენს ინგლის-ამერიკის კაპიტალიზმის ინტერესებს და ნანკინი.

ჯერჯერობით ნანკინის არმია ზრუნავს მშვიდობიანობაზე და ამავე დროს წესრიგის დამყარებაზე იაპონიის ჯარების ზურგში. მაგრამ ახლო მომავალში ნანკინის არმია მიიღებს მონაწილეობას სამხედრო ოპერაციებში ჩუნგკინის წინააღმდეგ. შტაბის უფროსის სიტყვით ჩუნგკინის იმ ჯარების რაოდენობა, რომლებიც გადმოვიდნენ ნაციონალურ ჩინეთის მხარეზე აღემატება 100 ათას მებრძოლს.

# მღელვარებანი ირანსა და ირაქში

რომიდან მიღებული ცნობებით ირანში ჩატარდა ახალი დემონსტრაციები, ამერიკელთა გარნიზონების წინააღმდეგ. მღელვარება გამოწვეულია სურსათის რეკვიზიციით ამერიკელთა მიერ, რამაც ქვეყანა სამეურნეო კრიზისამდე მიიყვანა. სისხლიანი შეტაკებანი დემონსტრანტებსა და ამერიკელებს შორის სწარმოებს ყოველდღიურად.

მღელვარებამ მოიცვა აგრეთვე მეზობელი ქვეყანა ირაქი. ინგლისელების მიერ ძალდატანებით ჩატარებულმა მობილიზაციამ მოსახლეობა აამხედრა. მღელვარებამ ირაქში ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ ბრიტანეთის გუბერნატორმა კორნუოლმა ირაქის მთავრობის თავმჯდომარეს ნური ელ საიდს წინადადება მისცა გამოეცხადებინა საალყო წესები. სამოქალაქო სასამართლოები შეცვლილნი არიან სამხედრო სასამართლოებით.



მეთხილამურეთა ოცეული ამოცანის შესრულების წინ.

# რუტი--ფინეთის პრეზიდენტი

15 თებერვალს ფინეთის ხალხმა პრეზიდენტად მეორედ აირჩია რისტო რუტი. მთელი მისი პოლიტიკური მოღვაწეობა განუწყვეტლივ არის დაკავშირებული ფინეთის ხალხის უმძიმეს ბრძოლასთან, ეროვნული თავისუფლებისათვის.

მკაცრმა კლიმატურ და გეოგრაფიულ პირობებმა შექმნეს ფინელ ხალხში გმირული სული. მედგრად და შეუპოვრად, მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში აშენებდა ფინელი ხალხი თავის ნაციონალურ ცხოვრებას.

ფინეთის მნიშვნელოვანმა სტრატეგიულმა მდგომარეობამ მალა გაუღვიძა სტალინის მტაცებლურ იმპერიალიზმს. 1939-1940 წლებში ფინეთის ხალხის წინააღმდეგ ომს აწარმოებდა არა რუსი ხალხი, არამედ სტალინი. კლდოვანი ქარელიის მიდამოებში გაბნეულნი არიან რუსისა და ფინელი ხალხის ძვლები, რაც შეადგენს სტალინის დანაშაულობრივ ქმედობას. ფინელმა ხალხმა თავის ისტორიის მატიანეში ბრწყინვალე სტრიქონები ჩასწერა ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

პატარა ფინეთი ნახევარი წელიწადი იბრძოდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ და ამ ხნის განმავლობაში დაამტკიცა, რომ იმარჯვებენ არა მხოლოდ ისინი, რომლებსაც ჰყავთ ბევრი ტანკები და თვითმფრინავები, არამედ ის, ვინც ბრძოლაში სდებს თავის გულს. 1940 წლის მარტში დადებული ზავი, ეს იყო ფინეთის ხალხის სულიერი გამარჯვება. მთელი თავისი არსებობის მანძილზე ფინელმა ხალხმა დაამტკიცა, რომ მას თამამად შეუძლია დაიკავოს საპატიო ადგილი ევროპის ხალხთა დიად ოჯახში. მარშალმა მანერჰეიმმა მიმდინარე წლის 28 იანვარს ბრძანებაში განაცხადა: „ჩვენი ბრძოლით ჩვენ მოვიპოვეთ უფლება თვითგამორკვევისა. ამ მომენტში ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას ჩვენი ეროვნული არსებობისათვის. წყდება ბედი ჩვენი ქვეყნისა. მთელი ჩვენი ძალები გამოყენებული უნდა იქნას ჩვენი ერის მომავლისათვის ბრძოლაში.“ ფინეთის ხალხმა მას ერთ-ერთი ჟურნალისტის პირით შემდეგი უპასუხა: „...უკეთესია დავიხოცნეთ თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ვიდრე ვიყვეთ მონობაში.“



მტრის ცეცხლის წერტილების დაზვერვა.

# საქართველო და რუსეთი*)

ამ დროს საქრთველოში კვლავ შემოიჭრნენ ბნელი ძალები ბოლშევიკები, საქართველო კვლავ აივსო რუსეთის აგენტებით, მაგრამ წითელი რუსეთი უფრო გაიძვერა აღმოჩნდა ამ შემთხვევაში. მან შექმნა საქართველოში მარიონეტული მთავრობა, რომელსაც არავითარი უფლებები არ გააჩნია; საქართველომ კვლავ დაჰკარგა სახელმწიფოებრივი სახე და ევროპის სახელმწიფოების მიერ ცნობილი საქართველოს სახელმწიფო, მსოფლიო რუქიდან ამოიშალა.

სანამ შევეხებოდეთ ქართველი ერის ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის უნდა ავღნიშნოთ ის, რომ 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმა იცნო საქართველო და დასდო მასთან ხელშეკრულება, რომლის მეორე მუხლის ძალით საბჭოთა რუსეთი მოვალე იყო არ ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში. ეს ხელშეკრულება სწორედ მაშინ დაიდო როცა იმავე წლის აპრილში ახალგაზრდა ქართულმა ჯარმა გენ. კვინიტაძის სარდლობით სასტიკად დაამარცხა და უკუ აქცია რუსული წითელი არმია.

1801 წელს რუსეთმა დაარღვია მის მიერ დადებული 1783 წლის ხელშეკრულება და იარაღით დაიპყრო საქართველო; 1921 წლის თებერვალში იმავე რუსეთმა, მხოლოდ ახლა უკვე წითელ მანტიაში გახვეულმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და ომის გამოუცხადებლად ვერაგულად ყოველგვარი საბაბის გარეშე თავს დაესხა ახალგაზრდა საქართველოს, მოახდინა მისი ოკუპაცია. ძვირად დაუჯდა რუსეთს საქართველოს ოკუპაცია: ქართველი ხალხი როგორც ერთი კაცი გამოვიდა ბრძოლის ველზე, ქართულმა ახალგაზრდა ჯარმა სასტიკად დაამარცხა რუსეთის სანაქებო და ძლიერი მე-11 არმია, მაგრამ მან მრავალრიცხოვან მტერს ვერ გაუძლო, უკან დაიხია. ქ. თბილისთან ტაბახმელის მიდამოებში ვაჟკაცურად დაიხოცნენ ახალგაზრდა ქართველი იუნკრები.

თავისუფლების მოყვარული ქართველი ხალხი არ შეურიგდა რუსეთის მეორედ გაბატონებას და ეროვნული თავისუფლების დაკარგვას, რადგან დამპყრობელ რუსეთს დახვდა ეროვნული საქართველო, რომელმაც კვლავ ხმალი გალესა და ბრძოლა განაგრძო. აჯანყების დროშა პირველადააფრიალა ქართველი ხალხის წიაღიდან გამოსულმა, სახალხო გმირმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა 1922 წელს; ქართული ეკლესია გაჰყვა თავის ტრადიციულ გზას — ერის სამსახურს და მსოფლიოს ამცნო ქართველი ერის ტკივილები, მისი ეროვნული უფლებები; ბოლშევიკები და რუსეთის აგენტები ამოქრავდნენ, დახვრიტეს ქართული ეკლესიის მეთაურები, ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილი. ქვეყანა თითქოს დამშვიდებას მიეცა, მაგრამ 1924 წელს აგვისტოში საქართველოში დაიწყო საყოველთაო-სახალხო აჯანყება, მიმართული რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ. ქართველი გლეხკაცობა კვლავ ერთგული დარჩა თავისი ერისა, იგი საქართველოს გამანთავისუფლებელ კომიტეტის პირველ მოწოდებისთანავე იარაღით გამოვიდა ბრძოლის ველზე. აჯანყების ცეცხლი მოედო მთელს საქართველოს — ერთ და იმავე დროს აჯანყება დაიწყო თუშფშავ-ხევსურეთში, ქართლში, იმერეთში, გურია-სამეგრელოში; ხმალი იშიშვლა აგრეთვე თავისუფლების მოყვარულმა სვანეთმაც. ეს აჯანყება ნამდვილი ომი იყო პატარა საქართველოს და ვეებერთელა რუსეთს შორის. ერთხელ კიდევ გადაიშალა ჩვენს თვალწინ საქართველოს ახლო წარსულის მწარე თავგადასავალმა, მისმა უთანასწორო ბრძოლებმა გაბატონებული მტრის წინააღდეგ.

დღეს, როდესაც კაცობრიობის განახლების საკითხი და კერძოდ საქართველოს ბედი ბრძოლის ველზე წყდება, ქართველი ხალხი კვლავ იარაღით ხელში დგას საქართველოს მომავლისათვის ბრძოლაში. 22 წლის განმავლობაში აბუჩად აგდებული საქართველო კვლავ უნდა აღსდგეს. კვლავ უნდა ამობრწყინდეს მზე ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისა.

გერმანულ ფორმაში გამოწყობილი ქართველი ახალგაზრდობა იმ ბრძოლის ქარცეცხლის მატარებელია, რომელიც ჩაუქრობლად ენთო ქართველი გლეხკაცობის გულში.

ჩვენ გვწამს და გვჯერა, რომ გერმანელ ჯარისკაცებთან მხარ და მხარ ბრძოლით მივაღწევთ გამარჯვებას. ჩვენი სისხლი და სიცოცხლე, რომელიც ეწირება მსხვერპლად სამშობლოს მომავალ კეთილდღეობას, იქნება სიმბოლო საქართველოს საბოლოო განთავისუფლებისა კრემლის სატრაპების ბატონობისაგან.

ლეიტ. ი. კოლხელი

(* დასასრული. იხ. გაზ. „საქართველო № 8 (35)

# ჩან-კაი-შეკის ცოლი იაპონიის შესახებ

ჩან-კაი-შეკის ცოლი ამას წინად გამოვიდა სიტყვით ამერიკის პალატაში და თავისი ქმარის სახელით მეტად სერიოზულად გააფრთხილა ამერიკელები იმის გამო, რომ იმათ ჯეროვანად ვერ შეაფასეს იაპონიის სამხედრო ძლიერება, რომელიც გაიზარდა ტერიტორიების შეძენით.



შორეულ ზღვებში მშობლიურ წყალქვეშა ნავზე.

# თორნიკე ერისთავი

საქართველოს პოლიტიკურ აღორძინებას წინ უსწრებდა ძლიერი სამონასტრო მშენებლობა. დიდი ბიზანტიის სხვა და სხვა კუთხეებში, შორეულ ქვეყნებში მაღალს მთებზე აღმართულნი იყვნენ ქართული მონასტრები. ამ სამღვთო ტაძრებს ქრისტიანული მოძღვრების შუქს რომ ჰფენდნენ ჩვენს სამშობლოს, ხაძირკველი ჩაუყარეს ქართველმა ბერებმა. მე-10-ე საუკუნეში შავ-მთაზე, ულუმპოში, ანტიოქიაში, სინას მთაზე, იერუსალიმში და ათონზე ბრწყინვალედ მოღვაწეობდნენ ქართული მონასტრები. მათ შორის ყველაზე დიადი ყოფილა ივერის მონასტერი, რომელიც მე-8-ე საუკუნეში დაფუძნებულა წმინდა ათონის მაღალს, ღრუბლებით შებურვილს მთაზე.

მაჰმადიანი მტრები დაუნდობლად სდევნიდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას. მათი ბარბაროსი მახვილი არა ერთგზის აღმართულა ჩვენი სარწმუნოების დიდების დასამხობად, მაგრამ ქართველ ხალხს უყვარდა თავისი სჯული, თავს სდებდა მისი სიწმინდისათვის, სისხლითა და ბრძოლით ინახავდა მას. ამ დევნა-შევიწროებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ჩვენი ხალხი სამღვთო ტაძრების ასაგებად ირჩევდა შორეულ მხარეებს, მიუვალ მთებს.

მონასტრებში ბერებად მიდიოდნენ განათლებულნი და წარჩინებული ქართველნი. ისინი სიჭაბუკეში ემსახურებოდნენ მშობელ ერს, თავისი რაინდული ხმლითა და ვაჟკაცის მკლავით ებრძოდნენ მოწოლილ მტერს, მაგრამ შევიდოდნენ რა ხანში, მიატოვებდნენ ცხოვრების მღელვარებას და დარჩენილ სიცოცხლეს ატარებდნენ მონასტრის სიმყუდროეში. ეს ადამიანები დაუღალავად ილოცვიდნენ და ევედრებოდნენ ღმერთს დაეფარა მათი ქვეყანა, სწერდნენ და სთარგმიდნენ საეკლესიო წიგნებს,გატაცებით ემსახურებოდნენ ღვთის საქმეს, ქრისტეს სარწმუნოებას ნერგავდნენ ხალხში.

ქართული მონასტრების საშუალებით შემოდიოდა საქართველოში მაღალი კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება. ქართველი ბერები თვალყურს ადევნებდნენ რა მაშინდელი განათლებული კაცობრიობის ცხოვრებას, კვალ და კვალ მისდევდნენ მას და მისი ცხოველმყოფელობა გადმოჰქონდათ მამულში.

ღვთისმოსავ ქართველ ბერთა შორის საქართველოს ისტორიაში გაუქრობის შარავანდედითაა მოცული თორნიკე ერისთავის სახელი. სამშობლოზე დიდი ამაგითა და ღვაწლით დამაშვრალი ქაღარა თორნიკე მიდის ათონის მთაზე. მისი მშფოთარე სული იქ ეძიებს თავშესაფარს. ქრისტიანული მოძღვრების გულმხურვალე ქადაგმა, მან გააფართოვა და გაამშვენიერა ივერის მონასტერი, გადააქცია იგი ქრისტიანულ ლავრად.

თორნიკე ერისთავი სამხრეთ საქართველოს შვილია. იგი დაიბადა მესხეთის მადლიან მიწაზე, ეკუთვნოდა წარჩინებულ გვარს და იყო ერთ-ერთი მთავარი. ყრმობა მან გაატარა მესხეთის წარმტაც მიდამოში, მისი ყმაწვილური ოცნება აღათისებრ შესტრფოდა რაინდულ ხმალს. ქართული მიწის ბარაქით გამოზრდილმა თორნიკემ სიჭაბუკეშივე გაითქვა სახელი, მისი ხელმძღვანელობით ქართველმა ჯარმა არა ერთგზის შემუსრა მტერი. მამული თორნიკე ერისთავში ხედავდა გულმოდგინესა და გამჭრიახ სარდალს, რომლის თვითეული ლაშქრობას მამულისათვის უნდა მოეტანა ახალი გამარჯვება, ახალი დიდება. გაირბინეს წლებმა, თორნიკე ერისთავი მოხუცდა, სამშობლოს სიყვარულით აღგზნებული სარდალი, გადაწყვეტს უარყოს ამ ქვეყნიური ზრუნვა, მღელვარე ოცნებანი შეაფაროს მონასტრის ზღუდეს და იქ შორეულ მთაზე, ღმერთთან ახლოს ავედროს მამული. თორნიკე მიდის საბერძნეთში, ივერის მონასტერში და აღიკვეცება უბრალო ბერად. მამა იოანე გულმხურვალედ მიიღებს ქართული მამულის სახელოვან შვილს, მისი თეთრ და სპეტაკი წვერის წინ მუხლმოყრილი ბერი სარდალი შეჰფიცავს ღმერთს.

მონასტრის ცივი და იდუმალი კედლები. მარტოობა და ღვთის ვედრება. მოხუცი სარდალი მაინც ვერ სცილდება თავისი ქვეყნის ყოფას. მის თვალის წინ გაიქროლებენ ლეგენდარული ბრძოლები, მას თითქო უხმობენ ახალი შეტაკებანი მოსეულ მტერთან... თორნიკემ შორს დასტოვა სამშობლო მიწა, მაგრამ იგი მთელი გულით იქაა...

დილის მზე ოქროსფერ სხივებს ესვროდა ივერის მონასტრის კედლებს,— სარკმელში ჩადიოდა და აშარავანდებდა ბნელ საკანს. თორნიკე ერისთავი შევედროდა ღმერთს. ლოცვა დამთავრდა. მონასტერი შეაშფოთა მოულოდნელმა ამბავმა, რომელმაც შემდეგში სულ სხვა გზით წარმართა მოხუცი სარდლის ბედი.

ბიზანტიის ძლიერს იმპერიას აუჯანყდა ბარდა სკლეროსი. იგი იყო მცირე აზიის აღმოსავლეთი ნაწილის მფლობელი. სკლეროსი განთქმულ სარდლად და მებრძოლად ითვლებოდა მთელს მცირე აზიაში, ჰყავდა დიდებული ჯარი. ამასთანავე ერთად აჯანყებულებმა შესძლეს თავის მხარეზე გადაებირებიათ სომხეთი და სპარსეთი. სკლეროსი თავის ლაშქარით დაიძრა, ცეცხლით და მახვილით მოიარა მთელი აღმოსავლეთი მცირე აზია, შემუსრა და გაანადგურა გზად ბიზანტიის ლაშქარი, შეავსო ჯარები და პირდაპირ გაემართა კონსტანტინეპოლის დასამხობად. საბერძნეთის იმპერატორი ვასილი საგონებელში იყო ჩავარდნილი. სკლეროსი სერიოზული მტერი იყო, თუ დროზე არ გადაუღობავდა გზას ამ ვერაგ მეამბოხეს, იმპერიას სათრთხე ელოდა.

იმპერატორი ფიქრმოცული იჯდა. მას გარს ერტყნენ თავისი ვაზირები. შორს, მცირე აზიის ველებზე, ისმოდა გრგინვა, სკლეროსის მრისხანე ჯარი უახლოვდებოდა კონსტანტინეპოლს— ბიზანტიის გულს. განსაცდელის ჟამს იმპერატორს მოახსენეს,რომ ივერის მონასტერში არის ქართველი ბერი თორნიკე, გამოცდილი სარდალი, გონებით მაღალი ადამიანი, რომელსაც პატივისცემით ეპყრობა სამხრეთ საქართველოს მბრძანებელი დავით კუროპალატი. იმპერატორს იმედის სხივმა გაუქროლა გულში. გადასწყვიტეს მეფე დავითთან გაგზავნონ მოხუცი თორნიკე და სთხოვონ შემწეობა ჯარით.

იმპერატორის თხოვნამ შეაშფოთა თორნიკე. მოხუც სარდალს ეძნელებოდა მონასტრის სიმყუდროის მოშორება.ახლა მის მხარეზე იწვა მოხუცებულობა, თეთრი წვერი სცემდა მის მკერდზე, ძარღვებში წინადებურად აღარ ჩქეფდა მდუღარე სისხლი, მაგრამ მკლავი ისევ ჰქონდა, მამულის განდიდების სურვილი აალებდა მის სულს. ესეც არ ყოფილიყო, თორნიკე ერისთავს არ შეეძლო უარეყო იმპერატორის თხოვნა, საბერძნეთი ქრისტიანი ქვეყანა იყო და ქართველობა ყოველთვის პატივისცემით ეკიდებოდა მას. მოხუცი თორნიკე დაეთანხმა იმპერატორს. უკანასკნელმა დასწერა წერილი დავით კუროპალატთან, რომელშიაც თხოვდა დახმარებას ლაშქრით, აღუთქვამდა კლარჯეთის, არზრუმის, ბასიანისა და სხვა პროვინციების დაბრუნებას, რომელიც წინად საქართველოს ეკუთვნოდა და ახლა ბიზანტიის მფლობელობაში იყო.

თორნიკე ერისთავი დაბრუნდა სამშობლოში. თავისი გულის თქმა გადასცა არსენ კათალიკოსს, რომელიც მაშინ მწიგნობართ უხუცესათ ითვლებოდა და იყო ფრიად განსწავლული ადამიანი. მოხუცი სარდალი ეუბნებოდა კათალიკოსს, რომ არ შეეძლო ეღალატნა მაღალ მცნებისათვის, რომ მის მოხუც ხმალს აღარ შეშვენოდა კვლავ სისხლში შეღებვა, მაგრამ როცა არსენ კათალიკოსმა გადასახა იმას ჯვარი უთხრა: ქრისტიანობის გასავრცელებლად საკმარისი არ არის მარტოოდენ ჯვარი, მისი მტრების შესამუსრად საჭიროა ავიღოთ ფარ-ხმალი, ჩვენი სული უნდა ვუმსხვერპლოთ ქრისტეს დიდებას... შენც აიღე ხმალი და გამოიხსენ განსაცდელისაგან ღვთის მმოსავი ბერძენთა ერი.

დავით კუროპალატმა აღასრულა თხოვნა იმპერატორისა. შეჰკრიბა 12 ათასიანი ლაშქარი. მხედართ მთავრობა უკურთხეს თორნიკე ერისთავს. მოხუცი სარდლის დაბრუნებამ გამოუთქმელის სიხარულით აღავსო ერის გული, დაიბადა რაინდობის ახალი ძლევამოსილი ატყინება. ქართველთა ოჯახებში ლესდნენ ხმლებს, ამზადებდნენ ფარებს, ხალხი მოელოდა ბრძოლას. ქართველ სარდლებს ამხნევებდათ ის გარემოება, რომ მის სახელოვანს ლაშქარს წინ წარუძღვებოდა ძველი არწივი, მოხუცი თორნიკე.

განთიადისას გაისმა ნაღარა. მეფის სასახლის წინ შეკრბა ლაშქარი ,აღმართეს ქართული ალამიც. მეფემ დალოცა ჯარი. თორნიკე ერისთავი გაუძღვა ლაშქარს...მოხუცმა სარდალმა გადაიარა სამხრეთ-საქართველო, კლარჯეთი. შეიერთა იქ სკლეროსისაგან დამარცხებული და ბრძოლის უნარ დაკარგული ბერძენთა ჯარი...

ბარდა სკლეროსის ჯარი ზეიმობდა ძლევამოსილებას.ბარდა კარავში იჯდა, განცხრომას ეძლეოდა. როცა მოახსენეს რომ ქართველთა ჯარი უახლოვდებოდა ჰალისს. სკლეროსი აიმღვრა, შეჰკრა მდინარის ნაპირები და ელოდა მტერს... ქართველთა ლაშქარი არ იყო ადვილი მოსაგერიებელი.

თორნიკე ერისთავის წინამძღოლობით ქართველთა ლაშქარი გადაეშვა ჰალისის სანაპიროებთან. გაიმართა საშინელი ბრძოლა. ქართველები ცხენებით შეჰქანდებოდნენ სკლეროსის რაზმებში, რომლებიც სომხებისა და სპარსებისაგან შესდგებოდნენ და ჰკაფავდნენ. სისხლის ღვარი ჩადიოდა ჰალისში, ხეობებში ისმოდა დაჭრილთა გრგვინვა,ფართა ჩხრიალი,ცხენების ჭიხვინი...ქართველნი სჩეხდნენ მტერს, აიძულებდნენ მას უკან დაეხია. აჰა, ქართველი გმირი ორბელიძე თეთრი ცხენით, ხმალ შემართული შეჰქანდა მტრის ერთ მოზრდილ რაზმში, მიჰკაფ-მოჰკაფა იქაურობა, მის წინ მოულოდნელად გაჩნდა მტრის გოლიათი აფრანიკე. მათ ორთავემ სტყორცნეს ისარი, მაგრამ ორთავ ერთად მიაშველეს ფარი. ბრძოლა არ დასრულდა, გმირი გმირს შეება ხმლით და როცა აფრანიკემ შუაზე გააკვეთად მოუქნია ხმალი ორბელიძეს, უკანასკნელმა ქვემოდან აჰკრა ყუა და იგი მარილივით გაადამტვრია თავზე. რაინდ ორბელიძისაგან დამფრთხალმა აფრანიკემ ცხენს ჰკრა ქუსლი და უკან მოჰკურცხლა. მტრის უსარდლოდ დარჩენილი ჯარი ცხვრის ფარასავით დაიბნა. ორბელიძემ თავისი ორი ათასი კაცით გამანადგურებელი ზარალი მიაყენა სკლეროსს.

მუხანათი სკლეროსი მიმართავდა ხერხს. იგი ბრძოლის ველზე ნაწილ-ნაწილ ჰგზავნიდა ჯარს და ცდილობდა ქართველების შეტყუებას. გამოცდილმა თორნიკემ კარგად იცოდა სკლეროსის ოინები. მან გაჰყო თავისი ლაშქარი, მარჯვნივ სარდლობა დააკისრა გამრეკელს მაშინდელ გმირსა და განთქმულ მეომარს, მარცხნივ ლომკაც სავარსამიძეს, ორბელიძეს უნდა გამოეწვია მტერი და დაეწყო ბრძოლა.

სკლეროსის ლაშქრის ერთი ნაწილი, რომელიც ორბელიძეს შეხვდა სანახევრად განადგურდა. ისინი გარბოდნენ მთებისაკენ და თავს აფარებდნენ ხეობას. მაგრამ ქართველები ხეობაშიც შეიჭრენ, ძაატრიალეს ხმლები, დადგეს მკვდრების გროვები, დააყენეს სისხლის ტბორები. სკლეროსმა ხერხს მიმართა ხეობაში შეჭრილს ქართველებს ორივე მხრიდან შემოასია წინასწარ დაბანაკებული დიდძალი ლაშქარი და გადმოვიდა შეტევაზე. ბრძოლა იყო საშინელი, ერთი ქართველი უნდა გამკლავებოდა ათ-თორმეტ მტრის ჯარისკაცს. ორბელიძის ჯარს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ შეუწყვეტია ხმლის ტრიალი, როცა მტრის რაზმები შემოერტყმოდნენ ქართველებს, ისინი ერთად მოიყრიდნენ თავს და გამწარებული თავდადებით უტევდნენ მათ. თორნიკე ერისთავი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ბრძოლას და აი ხეობიდან უცებ გამოიჭრა ორბელიძის თეთრი ბედაური. მოხუცი სარდლის გულში უეცარი ხმა დაირხა. იგი მოიხმობს ჯოჯიკს და გზავნის თავისი რაზმით დასახმარებლად. ჯოჯიკი თავისი ცხენოსნებით გრიგალივით გადუქროლებს სკლეროსის ჯარს, კვლავ იმართება ხელჩართული ბრძოლები.

**ლეგ. ლ. ლინი.**

(დასასრული შემდეგ ნომერში



გორის ციხე-სიმაგრე.

## ილუსტრირებული მიმოხილვა











ალმოსავლეთის ფრონტზე. შესვენება ბრძოლის შემდეგ. — აფრიკა. ორი გერმანელი ჯარისკაცის „საცხოვრებელი ბინა“.— ჩრდილოეთის ფრონტზე. ხის მორების დამზადება სიმაგრეებისათვის.— გერმანელი ჯარისკაცი უთვალთვალებს მტრის თვითმფრინავებს.- ტანკი დაზვერვაზე

# გასართობი

### სვლა ცხენისაა...

| | | | |
|---|---|---|---|
| შო | სოვ | ბა | უნ |
| ი | და | თა | დი |
| სა | ლი | სე | გრე |
| ვით | მა | რახ | სა |
| | ხე | ქვით | |
| კორ | ნაძ | გა | ლო |
| გან | ჭირ | სი | სა |
| ცო | სა | ვა | სა |
| ხი | ში | ცხლე | სჯობს |

ამ 34 კვადრატში განლაგებული მარცვლები და ასოები დაფარეთ ჭადრაკის ცხენის სვლით ისე, რომ მიიღოთ ორი აფორიზმი „ვეფხის ტყაოსნიდან“.

### შეადგინეთ სიტყვები

აააaა, იიიიიიიიიი, ლლლ, ვვ, ეე, რრრ, დდდ, თთ, ყ, უუუ, შ, ნნნნნ, ს, ჟ, ტ, ო.

ამ ასოებისაგან შეადგინეთ სიტყვები ისე, რომ ჰორიზონტალურ სტრიქონში მიიღოთ ქართველი გენიალური პოეტის ნაწარმოების ერთ-ერთი გმირის სახელი.

**ვერტიკალური**

1. ცნობილი ტაძარი საქართველოში. —2. გარეული ფრინველი,—3. ცნობილი ფიზიკოსის გვარი,მოთხრობითს ბრუნვაში, —4.სახელმწიფო ევროპაში,— 5. ტექნიკური სპეციალისტი.

# მოკლე ცნობები

▲ ეგვიპტეში დაპატიმრებულია გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი აზიზ-ალი ფაშა.

▲ შანხაიში ჩატარდა დემონსტრაცია იაპონიასთან შეერთების გამო, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წინაალმდეგ.

▲ მანჯუ-დი-გოდან რკინის მადნის გაზიდვა იაპონიაში მიმდინარე წელს გადიდდება 60 პროცენტით.

▲ უნგრეთის რეგენტის კანცელარიის უფროსი სტეფან ურაი გადადგა. მის ადგილს დანიშნულია იული ამბროზი.

▲ თურქეთში მიმდინარეობს ნაციონალური კრების არჩევნები.

▲ ნიუ-იორკის კათოლიკურმა ეპისკოპმა გზად მყოფმა მადრიდში ინახულა ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი ჯორდანა და ესაუბრა მას.

▲ ვიშიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთის მთავრობამ დაადგინა შემოიღოს საყოველთაო შრომის ბეგარა.

▲ ეგვიპტის მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეგვიპტესა და სსრ კავშირს შორის დიპლომატიური ურთიერთობა მისთვის არ წარმოადგენს საჩქარო საქმეს.

▲ პერუს მთავრობამ ამერიკის შეერთებულ შტატებს ნება დართო, პერუს ტერიტორიაზე ააგოს ჰაეროდრომები.

▲ ნაციონალური ჩინეთის ომში ჩაბმის შემდეგ პირველად ვან-ძინ-ვეის მეთაურობით შესდგა ნაციონალური სამეურნეო საბჭოს სხდომა და სამხედრო თათბირი.

▲ 'აფრანგეთის სახაზო გემი „რიშელიე“, რომელიც 1942 წელს იქნა დაზიანებული მივიდა ნიუ-იორკის ნავთსადგურში.

▲ ინგლისის საჰაერო ძალების უფროსი ჩრდილო-აფრიკაში ემორჩილება ამერიკის ავიაციის უფროსს.

▲ პარაგვაის პრეზიდენტი მორინიგო ხელახლად არ°ეულია ხუთი წლის ვადით.

▲ ადოლფ ჰიტლერმა გენერალ-ფელდმარშალის სახელწოდება მიანიჭა გენერალ-პოლკოვნიკს ფონ რიხტჰოფენს, გერმანიის საჰაერო ფლოტის ე˙.თ-ერთი მსხვილი საავიაციო შენაერთის უფროსს.

## ქიმიური მრეწველობა გერმანიაში

გერმანიის ქიმიურ მრეწველობას პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. წამლების წარმოება 1914 წელს სავსებით აკმაყოფილებდა თითქმის სხვა და სხვა ქვეყნების მოთხოვნილებას. ყველა აფთიაქებში იშოვებოდა გერმანული პრეპარატები. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა მრავალ ქვეყნებში განავითარეს ქიმიური ინდუსტრია, მაგრამ მიუხედავად ამისა გერმანული სააფთიაქო ნაწარმოები თავისი ხარისხით ბევრად მაღლა იდგა. მიუხედავად გაძლიერებული კონკურენციისა, გერმანიის ქიმიური მრეწველობის ექსპორტი სულ უფრო იზრდებოდა. ამ უკანასკნელ წლებში ქიმიურ მრეწველობას გაჰქონდა თავისი ნაწარმოები მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნებში, ომის დაწყებამდე მისი ექსპორტი უდრიდა 829 მილიონ მარკას, იმ დროს როცა ამერიკას გაჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ 452 მილიონი მარკისა, საფრანგეთს 25,2 მილიონი მარკის ნაწარმი.

საღებავების წარმოებაში გერმანიამ მიაღწია მონოპოლიას. იგი აწვდიდა საღებავ ნივთიერებებს ინდოეთის, ჩინეთის, სამხრეთ-ამერიკისა და თითქმის მთელი მსოფლიოს ქვეყნების ბამბის მრეწველობას.

ომის დროს დიდი მუშაობა აკისრია გერმანიის ქიმიურ მრეწველობას.1914-1918 წლებში გერმანიამ დაგვანახვა მთელი მისი უდიდესი შესაძლებლობა ქიმიური მრეწველობის დარგში. თანამედროვე ომში გერმანიის მრეწველობის ამ დარგმა გადააჭარბა პროდუქციის ვიდრე ეს იყო წინა ომის დროს.

პასუხისმგებელი რედაქტორი:
ლეგ. ასეულის მეთაური გ. მადაურიძე.
წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
Georgische Zeitung, Berlin W 35, Am Karlsbad 25

ქართული სტამბა, ბერლინი.
Deutscher Verlag, Berlin.